



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№4, 2014





კონკურსები

2014 წლის მესამე კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

1. 2014 წლის 22 სექტემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 1250 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადა - 8 დეკემბერი, კონკურსში შემოვიდა 13 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას.
2. 2014 წლის 26 სექტემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი სადებიუტო მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 700 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადა იყო 10 ნოემბერი, შემოვიდა 19 პროექტი, განხილვის შემდეგ საექსპერტო კომისიამ შეარჩია 3 პროექტი.
 - ალლუმი (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმის“ დირექტორი - ნიკოლოზ აბრამიშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
 - მეზობლები (პროდიუსერი - შპს „არტიზმის“ დირექტორი ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
 - შიშველი (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99-ის“ დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - ნინო ბასილია).
3. 2014 წლის 29 სექტემბერს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ერთობლივი წარმოების (კოპროდუქციის) დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 500 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადა იყო 21 ნოემბერი, შემოვიდა 4 პროექტი. პროექტები განსახილველად გადაეცა საექსპერტო კომისიას.

მიმდინარე პროექტები

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დღე როგორც ერთი თვე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლაკუმი“, რეჟისორი- რეზო ესაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps productions“, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი -თამარ მშვენიერაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ქართულ-უცხოური წარმოების პროექტი „ორმაგი უცხოები“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - უგის ოლტე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი-ნათია გოგალაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბლანჟე“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - გიორგი ბართაია).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მექელეხე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს “REACTORMONKEY” თორნიკე ბზიავა, რეჟისორი - თორნიკე ბზიავა).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დღე პირველი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს “კიგრუპი” ალექსანდრე გოგიაშვილი“, რეჟისორი -თამარ შავგულიძე).

“ბერლინის ახალი კედელი”; რეჟ. თომა ჩაგელიშვილი





“მამა”; რეჟ. დავით ფირცხალავა



“მეძებლები”; რეჟ. თორნიკე ბზიავა

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტატიანა და ლილი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - ვახტანგ ჯაჯანიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი “ბერლინის ახალი კედელი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ“ თი-სტუდია“, რეჟისორი - თომა ჩაგელიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორები - სალომე მაჩაიძე, თამარ ქარუმბიძე, დავით მესხი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი გემი ენგური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“, რეჟისორი - ვახტანგ ვარაზი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, რეჟისორ/ანიმატორი - ვლადიმერ სულაქველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაყინული შადრევნების წელიწადი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „29 +“, რეჟისორი - ივანე ბურდული).
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქარის დევნა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს 20 Steps Productions, რეჟისორი - ზურაბ დემეტრეშვილი).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი -ოთარ შამათავა).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიური ფილმოდრომი, რეჟისორი - რუსუდან პირველი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სხვისი სახლი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინტეჟი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბედნიერები გემოვნებაზე არ დაობენ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიის კინოსერვისი, რეჟისორი - ირაკლი სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ზაღათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ამირი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს “New Wave”, რეჟისორი - გაბრიელ რაზმაძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-ფრანგული პროექტი „კონკურსი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კოროფიქერს“, რეჟისორი - დიტო ცინცაძე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოგასავარი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მამა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“, რეჟისორი - დათა ფირცხალავა).

“მამა”; რეჟ. დავით ფირცხალავა

“პრეზიდენტი”; რეჟ. მოჰსენ მახმალბაფი



- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „26 საუკუნე ერთად“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ინდ. მეწარმე „მიშა ჭიაურელი“).
- დასრულდა სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შუქნიშანი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - მარია სიჩანინ).
- დასრულდა სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მე, ისინი და მამა“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - სალომე ვეფხვაძე).
- დასრულდა სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „როცა გარეთ წვიმს, ან დაუმთავრებელი პარტია“ (პროდიუსერი - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - თეა ვაწაძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რელიგია, ძალაუფლება, სახელმწიფო, საქართველო 1989 – 2013წ. (პროდიუსერი და რეჟისორი - სოსო დუმბაძე).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „ჭიათურა ჩემი სიამაყეა“ (განმცხადებელი - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“, რეჟისორი - დეა კულუმბეგაშვილი).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „დიდუბე, ბოლო გაჩერება“ (განმცხადებელი - შპს „რეალ -ი თი ფილმსი“, რეჟისორი - შორენა თევზაძე).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (განმცხადებელი - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „სატრფიალო. პასტორალი“ (განმცხადებელი - შპს „თოფილმი“, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი).

“სხვისი სახლი”; რეჟ. რუსუდან გლურჯიძე



“სხვისი სახლი”; რეჟ. რუსუდან გლურჯიძე





“დღე პირველი”; რეჟ. თამარ შაგვულიძე

“გაყინული შადრევნების წელიწადი”;
რეჟ. ვანო ბურდული

- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „მაღლა და მაღლა“
(განმცხადებელი - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „თვალყური“
(განმცხადებელი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე).
- განვითარების პერიოდშია დოკუმენტური ფილმის პროექტი „ისტორიები საოჯახო
ალბომებიდან“ (განმცხადებელი - შპს „საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - ანნა ძიაშვიპა).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „მეთევზე და გოგონა“
(განმცხადებელი - შპს „20 Steps Productions“, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „განდევილი“
(განმცხადებელი - შპს „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- განვითარების პერიოდშია ანიმაციური ფილმის პროექტი „ბედის მამებარი“
(განმცხადებელი - შპს „სტუდია ტელეფესტი“, რეჟისორი - ამირან ისიანი).
- განვითარდა ანიმაციური ფილმის პროექტი „უთვალავი“
(განმცხადებელი - შპს „სტუდია ტელევიზირი“, რეჟისორი - ნოდარ ბეგიაშვილი).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „მოუსმინე სიჩუმეს“
(განმცხადებელი - შპს „ოპიოდოკი“, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).
- განვითარდა ანიმაციური ფილმის პროექტი „უკანასკნელი ადამიანი“
(განმცხადებელი - შპს „ჯი-ეფ სტუდიო“, რეჟისორი - თინიკო ებრალიძე).
- განვითარდა დოკუმენტური ფილმის პროექტი „ერთსულიანი სოფლები“
(განმცხადებელი - შპს „ამპრო“, რეჟისორი - გურამ ასათიანი).

ქართული კინო საზღვარგარეთ



ქართული კინოს საერთაშორისო წარმატება

ორი ქართული ფილმი ოსკარის პორტლისთვის

ამერიკულმა კინოაკადემიამ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის შორთლისთი გამოაქვეყნა, რომელშიც 9 ფილმს შორის 2 ქართველი რეჟისორის ფილმი მოხვდა. ზაზა ურუშაძის „მანდარინები“ და გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“ 83 ფილმიდან შეირჩა. ნომინანტთა ხუთეული 2015 წლის 15 იანვარს დასახელდება. „მანდარინები“ ოსკარზე ესტონეთმა წარადგინა. ეროვნული კინოცენტრი ულოცავს ზაზა ურუშაძეს და გიორგი ოვაშვილს, ქართულ კინოსამყაროს და ასევე მთელ საქართველოს ამ საერთაშორისო აღიარებას!

„მანდარინები“ ოქროს გლობუსზე

ზაზა ურუშაძის „მანდარინები“, რომელიც ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა და ქართული და ესტონური სახელმწიფო სუბსიდიის გარდა, ევრიმაჟის ფინანსური მხარდაჭერით არის გადაღებული, წარდგენილია ოქროს გლობუსის დაჯილდოებაზე - საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში. ფილმი ესტონეთის სახელით არის წარდგენილი. ხუთეულში ასევე მოხვდა:

Force Majeure (შვედეთი)

Gett: The Trial of Viviane Amsalem (საფრანგეთი)

Ida (პოლონეთი)

Leviathan (რუსეთი)

ცერემონია ლოს ანჯელესში 2015 წლის 11 იანვარს გაიმართება.

„ქართველი ქალი კინორეჟისორების სიმლიერე“ – სპეციალური პროგრამა სამხრეთ კორეაში ბუსანის მ-19 საერთაშორისო კინოფესტივალზე

ბუსანისმე-19საერთაშორისოკინოფესტივალისსპეციალურპროგრამა„ფოკუსში“2–11ოქტომბერს წარმოდგენილი იყო „ ქართველი ქალი კინორეჟისორების სიმლიერე“. სექციაში მონაწილეობდა ქალი კინორეჟისორების 12 განსხვავებული ფილმი, საქართველოს პირველი ქალი რეჟისორის, ნუცა ღოღობერიძის, ნამუშევრიდან „ახალი ქართული ტალღის" თაობის წარმომადგენლებამდე.

ბუსანის ფესტივალს დაესწრნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - ნანა ჯანელიძე, ექსპორტისა და დისტრიბუციის დეპარტამენტის უფროსი - დავით ვაშაძე, რეჟისორები: ლანა ღოღობერიძე, თინა გურჩიანი, ნანა ექვთიმიშვილი.

პროგრამაში წარმოდგენილი იყო ფილმები:

- „ბუბა“ (ნუცა ღოღობერიძე)
- „ბახმარო" (სალომე ჯაში)
- „პატარძლები" (თინათინ ყაჯრიშვილი)
- „ძმა" (თეონა მღვდელაძე, ტიერი გრენადე)
- „დღეს დამე უთენებია" (ლანა ღოღობერიძე)
- „ფელიჩიტა" (სალომე ალექსიმესხიშვილი)
- „გრძელი ნათელი დღეები" (ნანა ექვთიმიშვილი, საიმონ გროსი)
- „გაიღიმეთ!" (რუსუდან ჭყონია)
- „მარილივით თეთრი" (ქეთი მაჭავარიანი)
- „სუსა" (რუსუდან პირველი)
- „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს" (თინათინ გურჩიანი)
- „იავნანა" (ნანა ჯანელიძე)

ინდუსტრიული კუთხით ნანა ექვთიმიშვილის პროექტი „ჩემი ბედნიერი ოჯახი" მონაწილეობდა აზიის პროექტების ბაზარზე - Asia Project Market.

სექციაში World Cinema ნაჩვენები იყო გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული".

გალა პრემიერაზე ნაჩვენები იყო მოჰსენ მახმალბაფის ფილმი „პრეზიდენტი", რომელიც წარმოადგენს ქართულ-ფრანგულ-გერმანულ-ბრიტანულ კოპროდუქციას. ფილმის აზიურ პრემიერას დაესწრო მთავარი როლის შემსრულებელი მიშა გომიაშვილი.



ფესტივალები



თბილისის 15-ე საერთაშორისო კინოფესტივალი

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი ტრადიციულად ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალი მოჰსენ მახმალბაფის ფილმით „პრეზიდენტი“ გაიხსნა.

ფესტივალის პროგრამაში წელს საინტერესო სიახლე იყო - დაემატა ეროვნული კონკურსი, რაც ძალიან სასიხარულო და მნიშვნელოვანი ფაქტია.

ქართულ სექციაში საუკეთესო ფილმისთვის ოქროს პრომეთე ლაშა ცქვიტინიძის ფილმს „მე ვარ ბესო“ გადაეცა.

საერთაშორისო კონკურსში კი ოქროს პრომეთე მიროსლავ სლაბოშპიცკის ფილმმა „ტომი“ მიიღო. ამავე ფილმს მიენიჭა ფარაჯანოვის სახელობის სპეციალური პრიზი.

ვერცხლის პრომეთე იურის კურსიეტის ფილმმა „მოდრისმა“ აიღო.

ქართულ კონკურსში საუკეთესო რეჟისურისთვის ვერცხლის პრომეთე მიიღო სალომე ალექსიმ ფილმისთვის „კრედიტის ლიმიტი“.

ასევე, ქართულ სექციაში საუკეთესო მსახიობ ქალად დასახელდა მარი კიტია ფილმისთვის „პატარძლები“. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ჯილდო გადაეცა ილიაშ სალმანს ფილმისთვის „სიმინდის კუნძული“.

ინდუსტრიულ შეხვედრებზე ტრადიციულად გაიმართა საინტერესო სამუშაო პლათფორმა დოკუმენტალისტებისთვის - CAUCADOC, სადაც ასევე გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

2-5 დეკემბერს საქდოკ ფილმის ორგანიზებით ჩატარდა CAUCADOC-ის პროექტების განვითარების კურსი, სადაც მონაწილეებს თავიანთი პროექტების საბოლოო წარდგენამდე ჩაუტარდათ ტრენინგები, რომელსაც უძღვებოდნენ ტრენერები: სალომე ჯაში (საქართველო), ზაზა რუსაძე (საქართველო), ფილ კოქსი (დიდი ბრიტანეთი), იოჰანა ბერნჰარდსონი (შვედეთი).

წარმოდგენილი იყო რვა პროექტი საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან:

- დიდუბე. ბოლო გაჩერება - რეჟისორი: შორენა თევზაძე, პროდიუსერი: ნიკოლოზ გოგოჭური
- მეზობლები - რეჟისორი: ანი გაბრიელიანი. პროდიუსერი: რუზან გიშიანი
- მრავალფეროვანი სამყარო - რეჟისორი: შაჰრიჰან აკბაროვი, პროდიუსერი: იმამ ჰასანოვი
- მუსალერი - რეჟისორი: მარიამ ოჰანიანი. პროდიუსერი: ელიზავეტა პეტროსიანი
- ოაზისი - რეჟისორი: ომარ წოწორია პროდიუსერი: გიორგი ჩაგელიშვილი
- ოჯახი - რეჟისორი: ემინ ეფენდიევ პროდიუსერი: დიანა ისაევა
- პიონერები - ანა ციმინტია, ესმა ბერიკიშვილი
- შავ-თეთრი - ალაკბარ ალიევ, პროდიუსერი: ანასტასია კონონოვა.

პროექტების საბოლოო წარდგენა მოხდა 5 დეკემბერს გოეთეს ინსტიტუტში დოკუმენტური პროექტების წარდგენის ფორუმის, Pitch.Doc-ის ფარგლებში და გამოვლინდა გამარჯვებული Neighbors (სომხეთი), რომელმაც მიიღო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოთი - 1000 ევრო.

CAUCADOC - ის ფარგლებში პროექტების განვითარების კურსი წელს მესამედ ჩატარდა საქდოკ ფილმის ორგანიზებითა და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის, ქართული ფილმის განვითარების ფონდის, გოეთეს ინსტიტუტის და შვედეთის საელჩოსთან თანამშრომლობითა და მხარდაჭერით თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში.





CinéDOC Tbilisi

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი CinéDOC Tbilisi წელს უკვე მეორედ გაიმართა. ეროვნული კინოცენტრი ფესტივალის მხარდამჭერია.

ფესტივალის ორი სექციის, - საერთაშორისო საკონკურსო პროგრამისა და Focus Caucasus-ის ჟიურიმ გამარჯვებული რეჟისორები გამოავლინეს და ფესტივალის პრიზით, დიპლომითა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზებით დააჯილდოვეს. CineDOC Young-ის სექციაში გამარჯვებული ავტორი, ბავშვებმა და მოზარდებმა დაასახელებს და სამახსოვრო პრიზიც თავად გადასცეს. ასევე დაჯილდოვდა მაცურებლის რჩეული რეჟისორიც.

საერთაშორისო კონკურსის მთავარი პრიზის მფლობელი გახდა - “სამართალი უნგრეთში” (რეჟ. ესტერ ჰაიდუ)

ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა დაიმსახურა - “ნუ მიმატოვებ” (რეჟ. საბინე ლუბე ბაკერი & ნილს ვან კუვორდენი)

FOCUS CAUCASUS:

მთავარი პრიზის მფლობელი გახდა - “სისხლი” (რეჟ. ალინა რუდნიცკაია)

ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა მოიპოვეს ფილმებმა:

“ზელიმის აღსარება” (რეჟ. ნატალია მიხაილოვა)

“ბიბლიოთეკა” (რეჟ. ანა ციმიტია)

CineDOC-Young:

ჩვენმა ყველაზე მნიშვნელოვანმა ჟიურიმ - ბავშვებმა - ამ სექციის მთავარი პრიზი გადასცეს ფილმს - “ზარელი” (რეჟ. ანაბელ როდრიგეს რიოსი)

პუბლიკის პრიზი მოიპოვა ფესტივალის გახსნის ფილმა - “გჯერათ სიყვარულის?” (რეჟ. დანი ვასერმანი)

წლევანდელი ფესტივალის ჟიურის წევრებ იყვნენ: საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე, ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტური კინოფესტივალის “Vision du Reel” –ის დირექტორი ლუჩიანო ბარისონე შვეიცარიიდან, სიმონე

ბაუმანი გერმანიიდან, გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი დოქტორი შტეფან ვაკვიცი, უკრაინის დოკუმენტური ფილმების ფესტივალის ორგანიზატორი დარია ბასელი, IDFA Bertha Fund-ის წარმომადგენელი მელანი დე ვოხტი.

CinéDOC Tbilisi პირველი საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალია კავკასიაში, რომლის ფოკუსშია შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმები.

ანიმაციური ფილმების მე-6 საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“

6- 11 ოქტომბერს ხულოში, შუახევში, ქედაში და ბათუმში, ჩატარდა ანიმაციური ფილმების მე-6 საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“.



საკონკურსო და საინფორმაციო პროგრამებში ნაჩვენები იყო 38 ქვეყნის 105 ფილმი.


ფილმების ჩვენება გაიმართა ბათუმში კინოთეატრ „აპოლოში“ ბათუმის დრამატულ თეატრში და ხელოვნების უნივერსიტეტში; ხულოს დრამატულ თეატრში; შუახევისა და ქედის კულტურის ცენტრში.

ფესტივალის ფარგლებში, ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართა უორქშოფი „ანიმაცია ურთიერთობის მხატვრული ფორმა“.

თოფუზი 2014 – გამარჯვებული ფილმები

- გრან პრი-ბრუტუსი, რეჟისორი სვეტლანა ფილიპოვა, რუსეთი
- საუკეთესო დებიუტი - სხვა ნაპირი, რეჟისორი ვასილი ჩირკოვი, რუსეთი
- საუკეთესო რეჟისორი - შეხვედრა, რეჟისორი დიმიტრი გელერი, რუსეთი
- საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმი - დასაწყისი, რეჟისორი ლეი ლეი, ტომას საუვინი, ჩინეთი
- ბავშვების მიერ შექმნილი საუკეთესო ფილმი-კოსმოსის პიონერები, რეჟისორი საბა ქარსელაძე, საქართველო
- საუკეთესო ფილმი მოზრდილთათვის - სიმღერა, რეჟისორი ინესა სედანი, საფრანგეთი
- საუკეთესო ფილმი მოზრდილთათვის - სიმღერა, რეჟისორი ინესა სედანი, საფრანგეთი
- საუკეთესო მუსიკა - ზამთარი და ხვლიკი, რეჟისორი ჯულია გრომსკაია, იტალია
- საუკეთესო ტექნიკური ნაწილი - ჩემი სტუმრები, რეჟისორი ოლგა ფედჩენკო, უკრაინა
- საუკეთესო სტუდენტური ნამუშევარი - მწკრივში, რეჟისორი კამილა კუციკოვა, სლოვაკეთი
- საუკეთესო სატელევიზიო სერიალი - ბორისი, რეჟისორი სერგეი ელისაიდე, საფრანგეთი
- -საუკეთესო სცენარი - კნუტი, რეჟისორი სედეკ ასადი, ირანი





„ექვთიმე“ – 150

4 ნოემბერს, თიბისი გალერეაში გაიმართა ანდრო ჭიაურელის დოკუმენტური ფილმის „ექვთიმეს“ საპრემიერო ჩვენება. ფილმი შექმნილია სახელმწიფო სუბსიდიით კინოცენტრის კონკურსის საფუძველზე. ქართული საგანძურის მცველის და დიდი მეცნიერის - ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავთან დაკავშირებით 2013 წელი იუნესკომ ექვთიმეს წლად გამოაცხადა. ამ თარიღთან დაკავშირებით ფილმის შექმნის იდეა ეკუთვნის ეროვნულ კინოცენტრს.

ფილმის სცენარის ავტორი - ნინო ნატროშვილი.

ფილმი შექმნილია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთითა და დაფინანსებით.

პარტნიორები:

- საზოგადოებრივი მაუწყებელი
- ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სცენარის ავტორი - ნინო ნატროშვილი: „ფასდაუდებელია თავდადება, რაც ექვთიმე თაყაიშვილმა უცხოეთში გახიზნული ქართული საგანძურის გადასარჩენად გასწია, მაგრამ ერთგვარად ყურადღების მიღმა რჩება ის ფასდაუდებელი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომელიც ამადამიანმა დაგვიტოვა ურომლისოდაც ქართული ჰუმანიტარული მეცნიერება ვერ შეიქმნებოდა. ექვთიმე თაყაიშვილის სამეცნიერო პროფილის განსაზღვრა ადვილი არ არის. ის იყო ისტორიკოსი, არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ეპიგრაფიკოსი, ნუმიზმატი, ფილოლოგი, ფოლკლორისტი, რუსთველოლოგი, ლინგვისტი და ჰუმანისტი, ქართული კულტურის გამორჩეული მოამაგე.“

ჯიფონი საქართველო

„ყველა სხვა ფესტივალზე მნიშვნელოვანი ფესტივალი ჯიფონია“.
ფრანსუა ტრუფო.

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით და ორგანიზებით, 14 დეკემბერს, თბილისში, ექსპო ჯორჯიას, მე-3 პავილიონში საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალის ჯიფონის ერთდღიანი გამოშვება - „ჯიფონი საქართველო“ ჩატარდა.

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 250 ქართველმა ბავშვმა მთელი საქართველოდან (ასაკობრივი კატეგორია - 13-17 წელი).

თბილისში გამართული ერთდღიანი საბავშვო კინოფორუმი ფილმებით უზრუნველყო ჯიფონის კინოფესტივალის ადმინისტრაციამ, რომელთანაც კინოცენტრი აქტიურად თანამშრომლობს.

ფესტივალის პროგრამა, გარდა ფილმების ჩვენებისა, შეფასებისა და დისკუსიისა, მოიცავდა სხვადასხვა საინტერესო აქტიობას და უორქშოფს:

- სპეციალური სტუმარი - გიორგი ნაკაშიძე
- სუბიშვილების უორქშოფი და ცეკვა
- ჩრდილების თეატრის უორქშოფი და წარმოდგენა
- გურამ წიბახაშვილის ლექცია - კინო და ფოტოხელოვნება
- უორქშოფი კომპიუტერული თამაშების შესახებ
- რა სად როდის - ბავშვთა გუნდების თამაში კლუბის წარმომადგენლების მეთვალყურეობით.

ერთდღიანი „ჯიფონი საქართველო“ წარმატებით ჩატარდა. ფესტივალი საქართველოში სრული მასშტაბით შესაძლოა უკვე 2015 წელს ჩატარდეს. მსგავსი ფესტივალის ჩატარების უფლება სულ რამდენიმე ქვეყანას აქვს მსოფლიოში. ჯიფონის საერთაშორისო საბავშვო კინოფესტივალი უნიკალურია თავისი შინაარსით, დანიშნულებით და მასშტაბით.



იტალიის პატარა ქალაქ ჯიფონი ვალე პიანაში ფესტივალი უკვე 44 წელია ტარდება, რომელშიც ჟიურის წევრები თავად მოზარდები არიან. 3500 ბავშვი უყურებს ფილმებს სხვადასხვა ნომინაციაში, მსჯელობს, განიხილავს და გამოავლენს საუკეთესოებს. ჯიფონიში ჩასულ უცხოელ ბავშვებს მასპინძლობენ მათი ადგილობრივი თანატოლების ოჯახები. ფესტივალთან თანამშრომლობს 54 ქვეყანა. ჟიურის წევრთა ასაკი მერყეობს 5-დან 18 წლამდე.

საფესტივალო ფილმების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი მაღალი ხარისხია. ფილმებს არჩევენ კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ფსიქიატრები, ფსიქოლოგები და კინომცოდნეები.

ეროვნულ კინოცენტრსა და ჯიფონის კინოფესტივალს შორის ურთიერთობა 2013 წელს დაიწყო, როცა კინოცენტრის ინიციატივით, 3 ქართველი მოსწავლე იტალიაში გაემგზავრა და მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კინოფესტივალში. 2014 წელს კი ჯიფონის კინოფესტივალზე საქართველოდან 7 მოზარდი და 2 სტუდენტი გაემგზავრა. ქართველმა ბავშვებმა ფესტივალის მონაწილეებზე დიდი მშაბეჭდილება მოახდინეს თავიანთი აქტიურობით და აჩვენეს ცოდნის და ანალიტიკური აზროვნების მაღალი დონე.

სამუშაო ვიზიტით საქართველოში იმყოფებოდა ასევე ფესტივალის დირექტორი - კლაუდიო გუბიტოზი. მისი გადაწყვეტილებით, საქართველოს მიეცა 2014 და 2015 წლებში ფესტივალის ლოგოს უსასყიდლოდ გამოყენების უფლება.

FILM PRINT – 30-13 ნომრის პრეზენტაცია

24 ოქტომბერს, ლიტერატურის მუზეუმში ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა ჟურნალ Film Print - ის მეცამეტე ნომრის პრეზენტაცია. 2014 წლის შემოდგომის ნომრის რედაქტორები არიან ხელოვნებათმცოდნე ანნა ძიკაშვიძე და კინომცოდნე - ნინო ძანძავა.

ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი.

ახალ ნომერში აქცენტი დოკუმენტურ კინოსა და არქივის პრობლემებზე გაკეთდა.

ჟურნალში მიმოხილულია ბოლო პერიოდში ჩატარებული საერთაშორისო კინოფესტივალები.

გაეცნობით სპეციალურ პროექტებსა და ფოტოპროექტებს.

იხილავთ ვრცელ ინტერვიუებს: რეჟისორებთან: პაველ ლოზინსკისთან, რომან ბალაიანთან, რუსტამ იბრაგიმბეკოვთან და სხვა.

ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ. ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.



www.gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge